№ 93

კვირა, 30 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 93

კვირა, 30 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 22

## ცხოვრებისათვის საჭირო შემოსავლის დაზღვევა.

იმათ, ვისაც ჰსურთ თავიანთ თანხიდგან მეტი მუდმივი შემოსავალი ჰქონდეთ, ვიდრე სხვა დაწესებულებიდგან ეძლევათ, ვურჩევთ დააზღვიონ თავიანთი შემოსავალი „როსსიას" დამზღვევ საზოგადოებაში ამ თანხის ერთბაშად შეტანით.

| დასაზღვევის ხნიერება... | 55 წ. | 60 წ. | 65 წ. | 70 წ. | 75 წ. | 80 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეტანილ თანხის მუდმივი შემოსავალი... | $8,_{07}$% | $9,_{44}$% | $11,_{14}$% | $13,_{46}$% | $16,_{03}$% | $17,_{77}$% |

ასეთი დაზღვევა გამოსადეგია ყოველ წლოვანების უფლება უქონელთა დასაზღვევად, რომელნიც დამზღვევის მზრუნველობასა ქვეშე იმყოფებიან, ერთგულ მოხუცებულ მოსამსახურეთა უზრუნველ-საყოფელად და სხვა შემთხვევებშიაც.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში (პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, ს. № 76), გამგეობის განყოფილებაში ტფილისს (სერგიევის ქუჩა № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქში.

## დამზღვევი საზოგადოება „როსსია".

ნაღდი თანხა საზოგადოებისა 35.000,000 მანეთს აღემატება. (6—79—5)

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ქუთაისის ჭაღდაცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია ნ. ა. საბაკევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში 1 ივნისიდგან გადატანილ იქმნება ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**ვ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—12—1 საოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა, შინაგანი და ბავშვებისა და ბავშვებისათვის ყვავილის აცრა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი— მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## შემოწირულება

„1. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნ. მარიამ ნიკოლოოზის ასულმა ჯამბაკურიან-ორბელიანისამ— საპაპიროსე სტოლი.

დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ სურათები შოთა რუსთაველისა და აკაკი წერეთლისა, კარაბადინები და სხვა წიგნები.

## მთავრობის განკარგულებანი

ქართველთა ქვეითა დრუჟინაში ნამსახური, მილიციის პრაპორშჩიკი გომელაური (სოლომონ) შინაურ გარემოებათა გამო სამსახურიდგან იქმნა დათხოვნილი.

დაღესტნის სამხედრო გუბერნატორთან საგანგებო მინდობილებათა უმცროსი მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი კოლეჟსკი სეკრეტარი ზარაფიშვილი იმავე გუბერნატორთან საგანგებო მინდობილებათა უფროს მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად იქმნა დანიშნული.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა და ინჟენერმა მ. ა. ალიბეგოვმა წარუდგინეს გამგეობას ალექსანდერდორფის ახალშენის მცხოვრებთა განცხადება, რომლითაც იგინი სთხოვენ გამგეობას იმის შესახებ, რომ გაყვანილ იქმნეს შოსსე გზა დიდუბის ეკკლესიიდგან ქალაქის სამზღვრამდე. ახალშენის მცხოვრებნი ხელწერილით უთმობენ ქალაქს ამ გზის გასაკეთებლად 150 კუბს ხვინჭას, ღირებულს სულ 1500 მან. გამგეობამ, მიიღო რა მხედველობაში განზრახული გზის საზოგადო სარგებლობა, დაადგინა მიიღოს ახალშენის მცხოვრებთაგან ხელ-წერილით უფასოდ დათმობილი ხვინჭა და გადასდოს ამ გზის გასაკეთებლად ქალაქის საშუალებიდგან სულ 1944 მან. გზა იჯარით გაცემით გაკეთდება.

*** ავსტრო-უნგრეთის კონსულმა სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ თუ შეიძლება აცნობონ ამ წარსულ 1899 წელს ამიერ-კავკასიაში რამდენი ფუთი მოსულა პური, ქერი, შვრია, სიმინდი, თუთუნი და ბამბა და რამდენი ვედრო ღვინო. აგრეთვე შეგვატყობინეთ კავკასიის ვენახებს რამდენი დღიური მიწა უჭირავსო.

*** ქალაქის ხმოსანთა მომავალ არჩევნისათვის საარჩევნო სიების შესადგენად ქალაქის გამგეობამ გადასდო სულ 3500 მან., რომელიც შეტანილ იქმნა ქალაქის ამ წლის დამატებით ხარჯთ-აღრიცხვაში.

*** ქალაქის საბჭოს ჰემდეგი მორიგი კრება მოხდება ორშაბათს, 1 მაისს. საბჭოს, სხვათა შორის, შემდეგი განსახილველი საგნები აქვს: 1) დადგენილება გამგეობისა და კომისის შეერთებულ კრებისა ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ; 2) ქალაქში ვაჭრობა-ბაზრობის განსაწესრიგებლად სავალდებულო დადგენილებათა პროექტი, 3) წინადადება ტფილისის გუბერნატორისა რიყის ქუჩაზე მცხოვრებთა წყალ-დიდობის დროს უბედურების ასაცილებლად არხის გაყვანისა და კედლის ამოშენების შესახებ და 4) გამგეობის მოხსენება ხორცის ნიხრის შესახებ და სხვანი.

*** დღეს, 30 აპრილს, საღამოს 7 საათზედ ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება ცეცხლისაგან დამზღვევ ტფილისის საურთიერთო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრებას განსახილველად შემდეგი საგნები ექმნება: ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1899 წლისა და 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ გამგეობის წევრთა და სხვა მოსამსახურეთა არჩევანი იქნება, რომელთაც სამსახურის ვადა წრეულს უთავდებათ.

*** როგორც უმართებულესს სენატს გარდაუწყვეტია, ებრაელ ასოთამწყობთ შეუძლიანთ იმ ადგილების გარეშეც იცხოვრონ, სადაც მკვიდრ მცხოვრებლებად ითვლებიან.

*** ხორცზედ ნიხრის გამწერს კომისიას საჭიროდ უცვნია კვლავ სცადოს საქონლის დახოცვა, რომ გარდაწყვეტილად გაიგოს, რამდენი უჯდებათ საქონლის ხორცი თითონ ყასბებს.

*** 28 აპრილს ქალაქის მოურავმა ტფილისის გუბერნატორს საჩივარი წარუდგინა, რომელიც უმართებულესს სენატს გაეგზავნება. საჩივარი ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილებას შეეხება, რომლითაც ქალაქის საბჭოს არჩევანი ივანენკოსი ქალაქის საფინანსო კომისიის წევრად დამტკიცებულ არ იქმნა.

*** უმართებულესის სენატის განკარგულებით, თანახმად სასწავლებელთა წესდების მე-394 მუხლისა, საჯარო კითხვაში მონაწილეობის მიღება, გარდა მღვდლებისა და მასწავლებლებისა, შეუძლიანთ აგრეთვე გარეშე პირთაც, თუ-კი მათ საგუბერნიო მთავრობა და სასწავლებლების მთავრობა სანდოობ ხალხად იცნობს.

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა გუბერნატორისაგან წინადადება მიიღო იმის შესახებ, რომ წარსულ თვის 20-ში მომხდარ ქალაქის საბჭოს დადგენილების აღსრულება შეასწყვიტოს. ეს დადგენილება კ. ი. ასლამაზოვის არჩევანს შეეხება ქალაქის ლომბარდის თანამდებობაზედ. გუბერნატორი ეკითხება მოურავს, კ. ი. ასლამაზოვი ი. დ. ასლამაზოვის ნათესავი ხომ არ არის, რომელიც წარსულის წლის 8 ნოემბერს სააუქციონო დარბაზის გამგედ იქმნა არჩეული. იმ შემთხვევაში, თუ რომ კ. ი. ასლამაზოვი ი. დ. ასლამაზოვის ნათესავი გამოდგება, საჭიროა გამოირკვეს სააუქციონო დარბაზის გამგე ასლამაზოვს ქალაქის ლომბარდთან ხომ რაიმე დამოკიდებულება არა აქვს, მაგალითად, ლომბარდში ნივთების დაგირავებასა ან გაყიდვაში.

*** სათავად-აზნაურო სკოლაში ეგზამენები პირველ მაისიდგან დაიწყება. უფროს კლასების მოსწავლეები გუშინ დაითხოვეს. წელს პირველად 8 კლასი დაასრულა ხუთმა მოსწავლემ: გომელაურმა, კობიაშვილმა, პაატაშვილმა, შათირიშვილმა და ყიფიანმა. ხუთივე მესამე კლასიკურ გიმნაზიაში იჭერენ ეგზამენებს, როგორც ექსტერნები.

*** ქალაქის მოურავის მინდობილობით ერთს მოიჯარადრეს ქალაქის ნაგვის დაწვის პროექტი შეუდგენია. ამ პროექტით ქალაქს სხვა-

და სხვა ნაწილში გააკეთებენ ერთგვარ სისტემის ფიჩებს, სადაც ნაგავს დასწვამენ. მაგრამ ამ ფიჩების სითბო რომ უქმად არ იკარგებოდეს, იქვე ააშენებენ ქალაქის აბანოებს. დაახლოვებით, თითო ნაგვის დასაწველი ფიჩი დაჯდება 10,000 მ., ხოლო აბანო 6,000 მ.

⁂ ს. ნახშირგორაში, თ. მებუთოვის მამულში, ტყეში ათი წლის მთიული ქალი უპოვნიათ მოკლული, რომელსაც თავი თერთმეტ ადგილას ჰქონია ქვით გატეხილი. შეუპყრიათ ორი მთიული, რომელთაც ეს მკვლელობა ჰბრალდებათ. როგორც აღმოჩენილა, ქალის მამა ყოფილა მოწამეთ მკვლელის ძმის საქმეზე, რომელსაც ციმბირში გაგზავნა გადაუწყვიტეს. ამ გაგზავნილის ძმას შურის ძიებით მოუკლავს ეს ქალი.

⁂ რადგანაც რკინის გზას არა ჰყავს საჭირო რიცხვი მომზადებულ მაშინისტებისა, გზათა სამინისტროში შუამდგომლობა აღუძრავთ, რათა დაარსებულ იქმნას ახალი რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლები; უპირატესობა სასწავლებელში შესვლისა რკინის გზის მოსამსახურეთა შვილებს ექმნება მინიჭებული.

⁂ ქალაქის გამგეობაში წარდგენილი პროექტი იმის შესახებ, რომ გადამდებ სენით ავადმყოფთათვის ორი ახალი საავადმყოფო იქმნას დაარსებული, 27 აპრილს განიხილა ხმოსან ექიმთა კომისიამ. პროექტის მუხლებად განხილვის დროს კომისიის წევრთ აქა იქ ცვლილება შეიტანეს და სურვილი გამოსთქვეს, რომ ამ საავადმყოფოებთან ჰიგიენის მიხედვით იქმნას არხები გაყვანილი.

⁂ პარასკევს, 28 აპრილს, ქალაქის გამგეობამ დაადგინა გადასდოს 960 მანეთი დროებით მოსამსახურე პირთა ახალ შტატის შესადგენად, რომელსაც დაევალება ძველის ნაძალადევის მოწყობა-განწესრიგების საქმე.

⁂ როგორც შევიტყეთ, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გრიგოლი, რომელიც ამ ჟამად რუსეთში იმყოფება, მალე მარტვილში იქმნება თურმე გადმოყვანილი.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი და მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული კავკასიაში ბ-ნი მედვედევი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოების ნამდვილ წევრებად აურჩევიათ.

⁂ სპარსეთის შაჰი უკვე გამობრძანებულა და 5 მაისს ჯულფაში მიელიან.

⁂ ამ მიმდინარე წელს განზრახული კავკასიელ ექიმთა კრება მომავალ წლისათვის იქმნა გადადებული.

⁂ ექიმებისაგან შემდგარი საგანგებო კომისსია მალე ხელ-ახლად გამოიკვლევს ნატახტარის წყაროს წყლებს, რათა დაადგინოს გაზაფხულზედ წყლის მოდიდების დროს რა და რა ქიმიური ნივთიერებანი ერევა ამ წყაროებს.

⁂ დღეს, 30 აპრილს, ნაძალადევის ივერთა ღვთისმშობლის ეკკლესიის მნათეს არჩევანია დანიშნული.

⁂ ჩრდილოეთის ცნობილი მოგზაური პროფესსორი ა. ე. ნორდენშილდი ამ ზაფხულს კავკასიაში მოგზაურობას აპირებს.

⁂ განჯის გუბერნიაში კალიის გასაწყვეტად ამ წელს მთავრობას 7,000 მან. გადაუდვია.

⁂ კავკასიის მსროლელთა მეორე ბრიგადა თავისის შტაბით ამ ზაფხულს საავარაკოდ ხაშურში მიდის.

⁂ როგორც „Новое Время“ გაუგონია, საერო განათლების სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს უფასო სამკითხველოების კატალოგიდგან გამორიცხოს ის წიგნები, რომლებიც სამასწავლებლო სამკითხველოებისა და საშუალო სასწავლებლების სამკითხველოებისათვის არის ნება დართული.

⁂ 24 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზედ, აკურთხეს კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიასთან უკვე არსებულ სკოლისათვის ახალის შენობის საძირკველი. კურთხევას დაესწრნენ: თავმჯდომარე ამ სასაფლაოს სამზრუნველოსი კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, სამზრუნველოს წევრნი, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ი. გ. მიცკევიჩი, დირექტორი პირველ გიმნაზიისა ლ. ლ. მარკოვი, სამხედრო საერო კანცელარიის განყოფილების უფროსი ა. ა. სემენიკოვი, გ. დ. ქართველიშვილი, საგუბერნიო ინჟინერი გ. ც. ბუტკევიჩი, ინჟინერი ა. ა. ტრონოვი, რომელსაც მინდობილი აქვს აშენება სკოლისა, მოსწავლენი და მასწავლებელი სკოლისა და სასაფლაოს მახლობლად მცხოვრებნი. მცირე აიაზმის კურთხევა, უამინდობისა გამო, ადგილობრივ ეკკლესიის კრებულის მიერ შესრულებულ იქმნა ეკკლესიაში, რის შემდეგაც ლიტანია გამართა სასკოლე ადგილისაკენ, სადაც უკვე დამზადებული იყო საძირკვლისათვის საჭირო მასალა. ყველამ მიიღო მონაწილეობა საძირკვლის ჩაყრაში. კურთხევის შემდეგ, მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე და სამზრუნველოს წევრნი მამობრივის მზრუნველობით გამოელაპარაკნენ და მიულოცეს სკოლისათვის საძირკვლის კურთხევა სკოლის მასწავლებელ ქალს და მოწაფეებს. მადლობა მოახსენეს მზრუნველთ მოსწავლეთა მშობლებმა, რომელნიც შეკრებილიყვნენ საძირკვლის კურთხევაზედ დასასწრებლად.

⁂ ქ. გორი. გორელები აქაურ დარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ჰმართვენ წარმოდგენებს, ხელის მოწერით ფულებს აგროვებენ მოსამზადებელს სკოლების მოსწავლეთათვის „ჭეჭილის“ დასაკვეთათ, მაგრამ ისეთი საყურადღებო საგანი-კი, როგორიც წიგნთ საცავ-სამკითხველოა, დავიწყების კუნჭულში მიუგდიათ. ნუ ვინ იტყვის, რომ ვითომ ამ საქმის გამართვა გორში ძნელი იყოს. მე კარგად ვიცნობ გორს და შემიძლიან ვთქვა, რომ საკმაო რაოდენიმე განათლებული კაცი შეეცდება ამ საქმეს და თანაგრძნობლებს მუდამ იშოვის. ამ ჟამად მით უმეტეს ადვილია ამ საქმის მოხერხება, რომ, როგორც გავიგეთ, ბ ნ გულშემატკივარს შეუწირავს წიგნთ-საცავის დასაარსებლად რამდენიმე ასი ცალი წიგნი და ხუთასი მანეთი ფულად. ყველა ესენი მას ქალაქის გამგეობისათვის გარდაუცია იმ პირობით, რომ წიგნთ-საცავს მისი სახელი დარქმეოდა. ქალაქის გამგეობას ეს საქმე აუდ-დაუდია, პირობა არ მოსწონებია და გვერდზედ გადაუდვია.

აქაურ ოქროის პირველ-დაწყებით სკოლაში ქართველ ბავშვების მასწავლებლათ რუსი ქალი გამოუგზავნიათ, რომელმაც ქართული ენა სულ არ იცის.

⁂ 27 აპრილს, ვოდოვოზნი ქუჩაზედ, ლონგოს სახლში მცხოვრებმა კერძო ვექილმა ე. ტურჟანსკიმ განაცხადა პოლიციაში, რომ 26 აპრილს, ღამის 11 საათზედ, შერჩეულის გასაღებით ჩემის ბინის შესავალი კარები გააღეს და ტანისამოსი და ფული მომპარეს, სულ 488 მანეთისაო. ეჭვი ტფილისის მცხოვრებ ი. ოგონოვსკისა და მალაქოვზეა მიტანილი, რომელთა შესაპყრობადაც უკვე ზომებია მიღებული.

⁂ დღეს, 30 აპრილს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ტაძარში, წირვის შემდეგ, შესრულებულ იქნება ლიტანია მთელის სასაფლაოს გარეშემო, რომლის შემდეგ გარდახდილ იქნება პანაშვიდი ყველა იმ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად, რომელნიც ამ სასაფლაოზედ არიან დასაფლავებულნი. პანაშვიდის დაწყების წინ შესაფერს სიტყვას წარმოსთქვამს წინამძღვარი ამ ეკკლესიისა მღვდელი მ. გიორგი გამრეკელი.

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

გამგ. წევრი თავ. ჭავჭავაძე. უპირველეს ყოვლისა ამ საყვედურს უნ და მივაქციო ყურადღება: ყიფიანი რად დასტოვეთ იქ და რატომ, როგორც ინსტრუქცია მოითხოვდა, რამდენისამე თვის შემდეგ არ დაიბარეთ და სხვა არ გაგზავნეთო. ეს სიტყვები უსაფუძვლოდ მიმაჩნია. როდესაც საგენტო დავაარსეთ, გადავწყვიტეთ დირექტორი მამაცაშვილი გაგვეგზავნა ბაქოში. ყიფიანმა გვთხოვა, მე გამგზავნეთ, იქ ახალის დავთრებისა და წიგნების შემოღებაა საჭირო, მათი წარმოება და შეიძლება მამაცაშვილს ამ საქმეში გამოცდილება არა ჰქონდეს, როგორც ახლო წიირს. მე კი ბუჰალტერად ნამყოფი ვარ და ვიციო. ჩვენც გავგზავნეთ ყიფიანი; იქ იგი თავის საქმეს კარგად აკეთებდა. შემდეგ თვითვე გვთხოვა დაგვეტოვებინა კიდევ ბაქოში; ეს მისი სურვილი შევასრულეთ, რადგანაც სხვანი მაგრე რიგად არ იყვნენ მოწადინებულნი იქ წასვლას. ამით ინსტრუქციაც არ ირღვეოდა, რადგანაც იქ ნათქვამია, ერთი რომ რიგს მორჩება, თუ სხვები თანხმანი იქმნებიან, შეუძლიან იგივე მეორედ წავიდესო. და განა ჩვენთვის სულ ერთი არ იყო, ყიფიანი იქნებოდა ბაქოში, თუ სხვა ვინმე. ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რომ ყიფიანი ამეებს ჩაიდენდა? შემდეგ გვისაყვედურებენ, დროზედ არ ადგენდა ანგარიშებსაო. მართალია, არ ადგენდა, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ! ჩვენ წერილებსა და დეპეშებს ვუგზავნიდით და ვთხოვდით ანგარიშებს (წაიკითხა რამდენიმე წერილი და დეპეშა ყიფიანთან ვაგზავნილი, რომლითაც ანგარიშების დროზედ გამოგზავნას უთვლიდნენ). შემდეგ თავ. ვ. მაჩაბელი, ხუდადოვი და სხვანი გვეუბნებიან, რატომ არ დაითხოვეთ აგენტობიდგან ყიფიანიო. ხომ გვეუბნებით ეხლა, რატომ არ დაითხოვეთო, მაგრამ რომ დაგვეთხოვა, იმის ადგილას სხვა გაგვეგზავნა და ამ სხვას კიდევ რომ საქმე გაეფუჭებინა, მაშინ კიდევ გვეტყოდით, რად დაითხოვეთ ყიფიანიო. ყველას ეხსომება ბუჰალტერის თავ. ფავლენიშვილის ამბავი. თავ. ფავლენიშვილი ჩვენი ხელ-ქვეითი იყო, ეს ხელქვეითი კაცი დავითხოვეთ; ამ დათხოვნის ანგარიში კანონით არავისთვის უნდა მიგვეცა, მაგრამ მაინც ამისთვის კინაღამ ჯვარს გვაცვეს. ამის შემდეგ როგორ უნდა დაგვეთხოვა ყიფიანი, თქვენი ამორჩეული, თქვენის ნდობით აღჭურვილი? ამას გარდა ყიფიანმა, ბატონებო, ბაქოში დიდი სამსახური გაუწია ბანკს. იმის იქ ყოფნის დროს $1^1/_2$ მილიონ მანეთის სესხი გაიცა, მაშინ როდესაც წინა წლების სესხი

---

# ფელეტონი

### ნანაის სიმღერა

(ამბავი)

ვუძღვნი ივ. ბუქურაულს.

ტუტარიკს თორღვაის ქალი [1]
წისქვილს დაუდგა... ღამეა.
აქა-იქ განუწყვეტელი
ისმის ხევების ჩქამია;
შავ ნისლის ნაბდიანები
ცაში ჰყუდიან მთანია,
მაგრამ რა უშავს ნანასა?
პატრა ძმა თანა სტანია. [2]
გახშირდა დიდი სთვლის ღამე,
და-ძმათაც ძილმა დაჰრია. [3]
ხშირ ძილპირის დროს ლეკებმა
შემოუმტვრიევს კარია.
ქალს ძმა მოუკლეს, ხელნ დაჰკრნეს,
უბეს ჩაუწყვეს დასაო
და შეუყენეს ისაცა
სატყვეოს შავბნელ გზასაო.

II

ფიცხლავ ხმა გატყდა.. ახლებსა
მუხლებს შაუჯდა ქარია;

[1]) ტუტარიკი ადგილია თუშეთში.

[2]) მთაში წისქვილებს ხშირად მანდილოსნები უდგებიან, ამხანაგად ბავშვებს დაიტანებენ ხოლმე.

[3]) დაჰრივა—მოერივა ძილი ძილი მოეკიდა.

დაფრინდნენ, ეცნენ მთა-კუდთა,
უხვი გაბერტყეს ნამია.
ბერები დარჩნენ სოფლადა,
იმათ დამარხეს მკვდარია.
უხდებათ თუშის ქალებსა
მიცვალებულზედ ზარია. [4])
უმისოდც შავად ჩაცმულნი
ძძით სხედან და დგანანო.
ნამტირალევნი მგლოვარე
ანგელოზებსა ჰგვანანო;
რომ ჰნახო, იტყვი: „მათებრნი
სხვებს არავისა ჰყვანანო“.
ისინი მკვდართან მოთქმითა
ერთმანერთს ეცვლებოდიან;
მათ ვაებაზედ ხე-ქვათა
გულებიც დალბებოდიან.
მოხუცნი თორღვასთან იყვნენ,
ბანზედ მიდგ-მოდგებოდიან;
მწუხარეს ჭირის პატრონსა
საუბრით შეაქცევდიან;
არაყს ჰსმიდეს და ასმევდეს,
ყალივნებს გამოჰწევდიან.
ა ბეჩავ, ბებერო ხარო,
თორღვავ, მოგერგო ის დღეო,
რომ შვილის საპატრონოდა
ხელიც ვერ გამოიღეო.
ქვეყანა სჩივის და სტირის, [5])

[4]) ზარი—ხმით ტირილი.

[5]) შვილის სიკვდილზედ თუშეთში დედმამა გამოცხადებით ვერ იტირებს: სირცხვილია.

შენ ხმაც ვერ ამაიღეო.

III

მტერი გაუქრა მდევართა
მის გზას ვერ მიაგნიანო.
გულჯავრიანი თუშები
უკანვე ბრუნდებიანო,
სხდებიან უფროსობითა,
ლეკებზედ ფიხვნობდიანო.
ჰთქვეს: „ნახევარი ჩვენგანი
არ კვდება თავისს დღითაო,
ივსება აკალდამები
მაგათ ნახოცის მკვდრითაო,
მაგათ სოფლები კიდევა—
აქით წასხმულის ტყვითაო.
სრულ შავით შავად ვერ მივდით
ამ უკუღმართის გზითაო.
ან შავიმოსნეთ ქალადა
ტყავ, ჯუბა, მანდილითაო;
ანა ვქმნათ პირი და დუშმანს
გადავეტივნეთ ხმლითაო;
ან დავიხოცნეთ, ან მტერსა
დედა ვუტიროთ ხმითაო;
ერთხელ ამოვწყდეთ გვირჩევნავ
სრულ ყოფნას დუხჭირითაო“.
ხახონ და ხიწვა წამოდგნენ, [6])
იმათ რო ესა ჰთქვიანო,
უთხრეს: „დაგვაცათ ვაჟებო,
ჯერ შველა რასა ჰქვიანო?
ჯერ კიდევ ზაფხული არის,

[6]) ხახონი—ძმა ნანაისა, ხიწვა დანიშნული.

მთას ფიფქნ არ გადასდიანო, [7])
მოგვეშველოდეს მაშინა
ლაშქარი შავარდნისაო,
რა დავსულწუხდეთ, ადგილას
გაღება ჰჭირდეს გზისაო.
ჯერხანად ჩვენვე გაგვიშვით,
სადაც ის ჩვენი ტყვეაო;
ხმალ, ხანჯლებ დაგვილესია,
წამალი აგვიწყვიაო“.
თორღვამაც უთხრა: „გენაცვლეთ,
ჩემო თუშებო, ხმაზეო.
ღმერთმა გიშველოსთ, რომ გული
გეწვისთ ჩვენს სატკივარზეო;
მაგრამ ვერ დაგცემთ დასტურსა
ვერც მე თქვენს სარჩიალზეო:
ქვეყანა დაიღუპება, რა ომი გობევრდებაო;
ცოდვა დაღვრილი სისხლისა
სულს ჭირათ გაუხდებაო.
დღეს მე ვერ გაქმნევთ იმასა,
რაც ხვალ არ გამოდგებაო:
მე ცივის საფლავის მეტი
აღარა მელოდებაო;
ხახონმ კი უნდა ჰქმნას რამე,
თუ თავი ემძიმებაო.
ნურც თქვენ დაუშლით, გაუშვით,
თორემ ნუ მეშვილებაო. [8])
ჰთქვა და მიბრუნდა საავდრო

[7]) ფიფქი—თოვლი.

[8]) აღარ მეხილება—სანახავად არ მინდაო.

ნაროვნის ღრუბლივითა, [9])
ხალხიც დაჰთანხმდა, წავიდა
საცრევო თხა-ცხვარივითა. [10])

IV

ზედაც დაზამთრდა, დათოვლა,
მთამ ქუდი დაიხურაო.
მერე ოხერი მძლივ სადმე
გავიდა, გაიწურაო;
მძლივ სადმე გადიგდებინა
მთამაც თოვლ-ბუქის დურაო.
რა ერთი გამაიხედეს
და გამოვიდნენ მთანია,
სიძე ცოლის-ძმათ დაქსელეს
სადაღისტნონი გზანია,
როგორც ჯიხვებმა ჰიუხი
და არწივებმა ცანია.
საჭირო ბევრი შეიტყო
გზირმა შორს გადაჩვეულმა; [11])
რაც აკლდა, ისაც შეუვსო
ტყვემ ბაგოთ გამოქცეულმა. [12])
რა ქნას ლოდინით ბეჩავმა
ნანამ გულ-გადალეულმა?

V

დაღესტანს გადაყვანილი
ბაგოს სოფელში ჰყავისთა,
ჩააცვეს ლეკურ სამოსი,
აისე სმა და ჭამითა

[9]) ნაროვანი—მთები თუშეთში.

[10]) საცრევო თხა-ცხვარი—საწველავი.

[11]) გზირი—მზვერავი.

[12]) ბაგო—სოფ. დაღისტანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

200 ათასიდგან 400 ათასამდე ძლივს ათიოდა. ასეთ კაცს ვერ დავითხოვდით. ამბობენ, რატომ არ დაუჯერეთ ამ ხმებს, ყიფიანმა 50,000 მანეთი ასესხა ვილაცასა, და სხვა ამგვარ ხმებსაო. მაგრამ ეს ხომ მარტო ხმები იყო, და არ დამტკიცებულის და არ დასაბუთებულის ხმებისათვის სად და ვინ დაუთხოვნიათ, ან მიუციათ სამართალში? ამბობენ იმასაც, რატომ არ იკითხეთ და არ გაიგეთ, რა ბოროტ-მოქმედებანი ჩაიდინა ყიფიანმაო. აქა სთქვეს, ამის შეტყობა ადვილი იყო, უნდა წასულიყავით და თვითეულ მსესხებელისათვის გეკითხათო. აბა რას ეგვანებოდა, დაგვევლო თვითეული მცხოვრები და გვეკითხნა, გვითხარით, რომელი თქვენგანი გაჰქურდა ყიფიანმაო? ამ ხმებმა რევიზია გამოიწვია. რევიზიამ კიდევ პირველ მაისამდე სააგენტოს ვითარება სრულიად გამოიძია. მრავალი უწესოება აღმოჩნდა, მაგრამ რევიზიის წევრნი ვერ შეთანხმდნენ: ორის აზრით ყიფიანს მცირე შეცდომები ჰქონდა, ორის აზრით-კი— თავ. ანდრონიკაშვილისა და თავ. ჭავჭავაძის აზრით,—ყიფიანს ისეთი საქმეები ჩაედინა, რომელიც დანაშაულად საცნობელი იყო. ის-კი უეჭველად გამოარკვია რევიზიამ, რომ ფული და სხვა კუთვნილებანი ბანკისა ხელ-უხლებელი იყო 118 მანეთს გარდა, რომელიც შესაძლებელი იყო ანგარიშში არეულიყო. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ფული გაიფლანგა პირველ მაისის, ე. ი. მეორე რევიზიის შემდეგ. მარტო იმ უწესოების გამო, რომელიც 1 მაისამდე, მეორე რევიზიამდე, აღმოჩნდა, ყიფიანი 15 მაისის დეპეშით დავიბარეთ აქ ჩამოსულიყო. როცა ჩამოვიდა, ერთის კვირით სოფელში დაგვეთხოვა, მაგრამ სოფლის ნაცვლად ბაქოში წასულიყო. აგენტს მივწერეთ ეთქვა ყიფიანისთვის, რომ ტფილისში ჩამოსულიყო. მაგრამ ყიფიანმა გვთხოვა, ოთხის დღით კიდევ დამითხოვეთო. დავითხოვეთ. 25 ივნისს გამგეობამ აღარ მოუცადა ზედამხედველ კომიტეტის გარდაწყვეტილებას და დაადგინა ყიფიანის ნაცვლად აგენტად სხვა დანიშნოს და დანიშნა კიდეც ბ-ნი მანსვეტოვი. (წაიკითხა მიწერ-მოწერა ახალ-აგენტთან, საიდგანაც სჩანს, რომ ყიფიანი გადაყენებულ იქმნა აგენტობიდგან). შემდეგ ყიფიანი ერთის თვით კიდევ დაგვეთხოვა. ამის ნება ყველა ჩვენგანსა აქვს და არ შეგვეძლო უარი გვეთქვა. ყიფიანმა დაჰკრა ფეხი და საზღვარ-გარეთ წავიდა. თუნდაც რომ საზღვარ-გარეთ არ წასულიყო და ივნისში სამართალში მიგვეცა, მაინც არაფერი იქმნებოდა, რადგანაც ფული უკვე გაფლანგული ჰქონდა. ეს ამბავი (ფულის გაფლანგვა) შეუძლებელი იყო შეგვეტყო, რადგან იგი ოპერაციები, რომლის გამოც გაფლანგა იმან ფული, ყიფიანმა ანგარიშშიაც დამალა და წიგნებშიაც არსად მოიხსენია. გაფლანგვა გამოაშკარავდა მხოლოდ სექტემბერსა და ოქტომბერში, როცა თვით მსესხებელთ გამოაცხადეს. ასე მოხდა საქმე. ჩვენ გულთ მისნები არ ვიყავით გაგვეგო—ყიფიანი სიყალბეს ჩაიდენდა თუ არა, ხოლო როდესაც გავიგეთ ეს, ყიფიანი უკვე საზღვარ-გარედ იყო.

შემდეგ რამდენმამე რწმუნებულმა კიდევ მოითხოვა სიტყვის წარმოთქმის ნება, მაგრამ თავმჯდომარემ არ მისცა, რადგანაც საგანი უკვე გამორკვეული იყო და საკითხი კრებას გადასაწყვეტად წარუდგინა, მიიღებს თუ არა იგი ამ მოხსენებას ისე, როგორც ზედამხედველ კომიტეტსა აქვს წარმოდგენილიო. ვილამაც განაცხადა, რომ საქმის გარდაწყვეტის დროს გამგეობისა და კომიტეტის წევრებს ხმის უფლება არ უნდა ჰქონდეთო.

თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. რასაკვირველია არ უნდა ჰქონდეთ, რადგანაც აქ ბოროტ-მოქმედებაა მომხდარი და ამ ბოროტ-მოქმედებას კრებამ თავისი მსჯავრი უნდა დასდოს, განაჩენი უნდა დაადგინოს.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. მსჯავრის დასადებადა და განაჩენის დასადგენად საჭიროა, რომ ბრალდებულნი აქ იყვნენ და მე-კი აქ ბრალდებულთაგანს არავისა ვხედავ.

დასასრულ, შუაღამის 12 საათზედ, კრებამ შეიწყნარა გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება, რომლითაც ბაქოს სააგენტოს ზარალის ერთი ნაწილი, სახელდობრ 20,428 მან. ბანკის შარშანდელ მოგებიდგან შევსებულია, მეორე ნაწილი კიდევ ამ წლის მოგებიდგან იქმნება შევსებული.

28 აპრილს, დილის კრებაზედ, გ. ბ. საყვარელიძემ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ შეცვილ იქმნას ინსტრუქცია ბაქოს სააგენტოსათვის. საყვარელიძეს აზრით, ეს ინსტრუქცია იმ რიგად უნდა იქმნას შეცვლილი, რომ სააგენტოს გამგეს, ან სხვა ვისმეს არ შეეძლოს ფულის გაფლანგვა, მოპარვა ან სხვა რამ.

ლაპარაკი აღიძრა აგრეთვე იმის შესახებაც, სააგენტო განყოფილებად იქმნას გადაკეთებულიო, სხვაგანაც დაარსდეს სააგენტოვებიო და სხვანი. როგორც გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ განმარტა, სააგენტოს გადაკეთება განყოფილებად შეუძლებელია, რადგანაც მაშინ უნდა დაარსდეს ბაქოში ცალკე გამგეობაც, ცალკე ზედამხედველი კომიტეტიც, ერთის სიტყვით, ახალი ბანკი. ამას გარდა არც ერთს სხვა საადგილ-მამულო ბანკს რუსეთში არა ჰქონია განყოფილება.

სხვათა შორის თავ. მიქელაძემ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ ბანკის სამოქმედოდ ახალი რაიონები იქმნას შეძენილი, როგორც, მაგალითად, იმიერ-კასპიის მხარე, დაღესტანი და სხვა და უსაყვედურა გამგეობას, რომ იგი ამ მხრივ არასა ჰზრუნავსო. როგორც გამგეობის თავმჯდომარის თავ. ჭავჭავაძის მიერ წარმოდგენილ საბუთებიდგან აღმოჩნდა, ასეთი შუამდგომლობა არა ერთხელ აღუძრავთ, მაგრამ როგორც აქაურ, ისე უმაღლეს მთავრობას ნება არ დაურთავს. თავ. ჭავჭავაძემ ისიც დაუმატა, იმედი მაინც არ უნდა დავკარგოთ და ხელშემწყობ დროს უნდა მოვუცადოთო.

დასასრულ, კრებამ დაადგინა: 1, დასტოვოს ბაქოს აწინდელი სააგენტო; 2, სთხოვოს გამგეობას ბანკის სამოქმედო რაიონის გაფართოების შესახებ აღძრას შუამდგომლობა მაშინ, როცა ამას უფრო მოხერხებულად დაინახავს; 3) სთხოვოს გამგეობას ყველა ამ კრებაზედ გამოთქმული აზრნი მხედველობაში მიიღოს ინსტრუქციის შეცვლის დროს.

ამავე დღეს საღამოზედ კრებამ მოისმინა ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის შეერთებულ საკრებულოს მოხსენება განსაკუთრებულ აგენტების თანამდებობის დაწესების შესახებ. მოხსენების ძალით, აგენტები ბანკის სხვა და სხვა ადგილას ეყოლება. მათი დანიშნულება იქმნება დამფასებელ კომისიის წევრებს მუშაობა გაუადვილონ და ადგილობრივ დაფასების აღწერილობა მოახდინონ ხოლმე. საზოგადო კრებამ, მოისმინა რა ეს მოხსენება, მოიწონა იგი და დაადგინა იყოლიოს ბანკმა აგენტები, იმ პირობით-კი, რომ ამ აგენტების მიერ დაფასებანი დამფასებელმა კომისიამ ან იმისმა წევრმა შეამოწმოს ხოლმე.

გუშინ წინ, 28 აპრილს, წინა დღის კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ, კრებას ხელ-ახლა ბაქოს სააგენტოს გამო ჰქონდა ლაპარაკი. ამ კრების დაწვრილებით ანგარიშს არა ვბეჭდავთ, რადგანაც ახალი არა თქმულა-რა და ორატორებმა თითქმის ისევ ის გაიმეორეს, რაც 27 აპრილის კრებაზედ ითქვა.

## ვარამი ჩვენი ცხოვრებისა

(წერილები ქართველ დედასთან)

მეორე წერილი.

თქვენს წერილში სიხარულს აცხადებთ იმის შესახებ, რომ თქვენმა ხუთი ანუ ექვსის წლის დათიკომ წარსულ დღესასწაულებში განაცვიფრა და აღტაცებაში მოიყვანა ჩვენსას თავმოყრილი საზოგადოება ლექსების მშვენიერად კითხვითაო. „ყველას გაუკვირდა მისი ნიჭი, მისი ჭკუა-გახსნილობა, გაბედულობა და დიდს მომავალსაც უქადიან ამ ჩემს პატარა ბიჭუნასაო? და მართლაც მოდი და ნუ გაკვირდება კაცი. დიდებსაც უძნელდებათ ბარათაშვილის „მერანის“ წაკითხვა, ამან-კი თავისის მშვენიერის კითხვით ყველა აღტაცებაში მოიყვანაო. იმედია, თქვენც ეს ჩემის ბავშვის წარმატება გაგახარებთ და გასამხნევებელ წერილს მომწერთო“. თქვენი ეს წერილიც საბუთს მაძლევს სიამოვნებით აღვნიშნო, რომ დიდს ყურადღებას აქცევთ შვილის აღზრდას და არ ეკუთვნით იმ ჯგუფს დედებისას, რომელთა ცხოვრების სიამე მარტოოდენ დაიძინოს, ადგეს და სჭამოს, გაიაროს და გამოიაროს, მოჰკრიფოს ჭორები და ნადიმად დაახვედროს საზოგადოებას, ჩაიცვას და დაიხუროს, რათა თავისის გარეგნობით ყურადღება დაიმსახუროს საზოგადოებისა და სხვანი და სხვანი. მაგრამ გარწმუნებთ, რომ იმათაც მალე სწყინდებათ ეს სიამე ცხოვრებისა და სიბერის დროს წყევლითა და კრულვით მოიხსენიებენ თავიანთ წარსულს, გზას გავლილს და არც შვილები დაიყრიან კეთილს. თქვენ-კი გამხნევდით, თქვენი გზა, თუმცა-კი ჯერ გაურკვეველია, მაგრამ მადლიანია, ღვთიური და თქვენს შრომის დაუსრულებელი სიამე და სიხარული მოსდევს. მოიგონეთ კორნელია, ეს დალოცვილი და ამაღლებული დედა გრაკხებისა! გაიხსენეთ შესანიშნავთა კაცთა დედანი და დარწმუნდებით, რომ დედის ხელმძღვანელობით აღზრდას უფრო ბედნიერი და ნაყოფიერი შედეგი მოსდევს. დალოცვილ და კურთხეულ იყოს თქვენი მისწრაფება შვილის საბედნიეროდ! მაგრამ საქმეს დავუბრუნდეთ.

„დათიკომ აღტაცებაში მოიყვანა ჩვენი დამსწრე საზოგადოება ლექსების მშვენიერად კითხვითაო“. წარმომიდგენია, რა სიხარული, რა აღტაცება უნდა გამოეწვია მაგ 5—6 წლის ბალანს! მოდი და ნუ გაიხარებს დედის გული, დედის თვალები ნუ აენთება სიხარულის ცეცხლით: დათიკომ გამარჯვება დაიმსახურა და როგორი გამარჯვება? დასძლია სიძნელე და თავიდგან ბოლომდე დიდს

---

უგდიათ ძაღლუმადურად,
ჰყარაულობენ ღამითა.
ჯერჯერით იმსახურებენ,
ავლევენ კარი-კარადა;
დღე-ღამე მუხლ მოუდრეკი,
უსმელ, უჭმელი მარადა.
სადღაა ძველი ნანაი,
გათქმული თვალად, ტანადა?
ვინ იცნობს ეხლა იმაში
გათქმულს თორღვაის ქალსაო,
რომელიც თავისს სიტურფით
დაამშვენებდა ცასაო...
ვისაც ვერ გაუსწორებდა
უკრთომლად მოყმე თვალსაო
და მის ლალს სითამამესთან
ვერც კი გაძრავდა ხმასაო.
„მამის ქალს თავი სად ახსოვს [16])
აცვია რამე, თუ არა;
შინ ბევრის მოთხოვნილობის
აქ არა გაიჩინარა.
ერთხანად თმანი დაიჭრნა,
თვალ ცრემლიანმა იარა
და მერე თავისს თავისა
აღარც რა შეუტყვია-რა.
გაჩუმდა, თავი დაჰკიდა,
მიჰჩერებია მიწასა.
მალ-მალე ფიქრით მიუკვლევს
საყვარელ მამა-ბიძასა;
ძმას საიმედოს ხახონსა
და საქმარიას ხიწვასა.
შაკრთება დატორტმანდება
ნამდგომიარე ფეხზეო.
იფიქრებს: „რაღას ვაკეთებ
მათ მგონებელი მზეზეო?“
ხელები ჩამოუცვივა,
გახეკაცდება ზეზეო.
თან ამღვრეული თვალებით
შორად დაიკრავს გზებზეო:
ხომ არვინ არის ნეტარა
გადმომავალი მთებზეო?“
გადის საათი, დღე, კვირა,
დიდად, გრძლად მოკლე ხანია;
ეს ხომ სხვა სთველიც თავდება,
თეთრად დაბერდნენ მთანია;
მაგრამ ნანატრი დროებას
ჯერ არა მოუტანია.
ყინჩი-კი [17]) ჰქონდა ჩვენება
წუხელ სიზმარში ნახული;
ნეტა უცხადებდა რასა
ის დალოცვილი ჯვარცმული:
მითომ ტყვე იყო ისევა
ტურფად, თუშურად ჩაცმული.
ტანთ-ეცვა ია-მოისი
სრულ ვერცხლის ზიზილიანი;
საფერხედ წითლაი ჰყვანდა
ყაჯრიან-უნაგრიანი;
მითომ შემოჰკრა, გაფრინდა,
თუშეთისაკენ გასწევა;
მდევარსაც წამოუვიდა,
ცხენი ვერავინ მისწივა.
გამოეღვიძა და, ღმერთო,
გული რა რიგად აჰტკივდა!
„ნეტავი მოვმკვდარვიყავო“,
ჰთქვა და მდუღარედ ატირდა.
კარგადამც აუცხადდები,
სიზმარო, თენებისაო!
მალევამც მოხვალ, მალევა,
ცისკარო ტყვეებისაო!
ღამეა. იმასავ ჰფიქრობს,
ნანა კერასთან ზისაო.
მწუხარე არის უსიტყვოდ,
ჰგავს ცარიელა გლოვასა.
რა შეუძლიან იმდენი
ცრემლების ჩამოთოვასა?
ლეკები ხუთი ეტანა,
შემოსხდომოდნენ კერასა;
ივახშმეს, ტყვესაც გადუგდეს,
ის-კი ვერ ჰჭამდა ვერასა.
ჰცდილობდა სევდის მალვასა,
რომ ვერვის შაემჩნიაო;
ლეკებმაც ყური არ უგდეს,—
ეგ სულ ემაგეთიაო.
მაგრამ, როდესაც შეუტყვეს
მეტ-მეტად გულის რევაო;
ეღხინათ, სასაცილოდა
აიგდეს, უწყეს თრევაო.
შემრ გადმოიღეს ფანდური,
უთხრეს: „იმღერე, ნანაო,
მაშინ ხომ აღარ იქნება
გოგონა შენისთანაო“.
საკმიდან [13]) კენჭი მოვიდა,
დაეცა ნანასთანაო;
ახლა სხვა მოჰყვა, ახლა სხვა
სიფრთხილით, თანდათანაო.
გულმა გაუგო, ხახონი
დამცქერის იქიდანაო.
ისე აღელდა, რომ სრულა
ცხროებამ აიტანაო;
დაჰცილდა უბედურება,
ვინღაა იმისთანაო?!
გულმა დაუწყო ფრიალი,
თვალებმა იალციალი.
რა კარგი არის მოსული
ტკბილი იმედი ტიალი!
კიდევ რომ კენჭი მოვიდა,
ფანდურსაც მიეტანაო,—
ეგონა თუშეთში იყო,
განა აქ, ლეკებთანაო.
დაჰკრა ფანდურს და დაჰძახა,
გრძნობად გარდიქცა სრულაო.
რომ გაგეგონათ, იტყოდით;
„ფრთიანი ჩამოსულაო“[14]).
„ვაჰ, რა ბრალია, ამბობდა,
ნანა, თორღვაის ქალიო!
ძმაი მამიკლეს ლეკებმა,
მიბრუნავს სისხლის ღვარიო.
ხელნ დაჰჭრნეს, უბეს ჩამისხნეს,
იმით დავიჭრენ თმანიო.
სალეკოდ წამომიყვანეს
უთმო, უძმოი ქალიო.
ქართვლის მთის გადასეესა [15])
გარეუ მაბრუნებს ქარიო.
ქარი-კი არა! ვინა ჰთქვა?
ჩემია ცოდო-ბრალიო.
უთხარით ჩილოელებსა,
ხახონს უჭირონ მხარიო [18]),
ჩემ საქმარიამ ხიწვამაც
მაღლა შეირტყას ხმალიო.
სახსარს ნუ დიდონდებიან,
სათუშო აღარ ვარიო,—
თუშების ხელ-უკადრები
უსჯულოთ ნებას ვარიო.
მარტოკა ნუ გეგონებით:
ხუთნი მტანიან სხვანიო“.
თუშებს გაუწყდათ მოთმენა,
მხედრობარეთ საკვამთანაო;
არ დაეთავა ნანას, რომ
მოისმა კარის ჯღარაო;
ხახონი, ხიწვა გადმოჩნდნენ,
დადგა ხმალ-ხანჯლის ჩხარაო.
მიეძე-მოეძეს ლეკები,
აკაფეს ფარდაფარაო.
ცოცხალი არვინ გაუშვეს,
ცეცხლს მიულვარის წყალია;
წამოიყვანეს ნანაი,
შინ მოიყვანეს ქალია.
არც თორღვას გაუხარდება
არ შერჩენილი ვალია!?.

ბაჩანა

[13]) საკომი—საკვამი—საკვამლე.
[14]) ფრთიანი—ანგელოზი. რასაც მღერის, ხალხურია.
[15]) გადასეეს—გადავლის დროს.
[16]) მამის ქალი—საალერსო სიტყვაა მამისა.
[17]) ყინჩი—კარგი.
[18]) ჩილო—სოფელია თუშეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების წინაშე წარმოსთქვა ლექსი, და ისეთი ძნელი ლექსი, როგორც თქვენვე აღიარებთ, დიდებსაც კი უჭირდებათ.

აი ესეც კიდევ მარჯვე საბუთი ესპანდელის აღზრდისა: „აღტაცებაში მოდის საზოგადოება გარეგანის, ზედაპირის მოვლენით და არავითარს უურადღებას აქცევს შინაარს, შედეგს მოქმედებისას. მე ის-კი არ მაკვირვებს, რომ დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა ბავშვის „მშვენიერად" კითხვით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ თქვენგან მწყინს,—ნუ თუ არ ჩაუკვირდით, არ ასწონ-დასწონეთ წინადვე თქვენის დათიკოს წამება, თუ შეიძლება ასე ითქვას, და იგი „გაამსახიობეთ" კიდეც. წარმოიდგენია, რამდენი წვალება, რამდენი ტანჯვა-ვრულვა გამოიარა მაგ პაწაწინა არსებამ, ვიდრე მაგ ლექსს დასძლევდა. განა უსამართლობა არ არის? ქვენს დათიკოს მოძრაობა უნდა ჭკარზედ, თქვენ-კი ამწყვდევთ ოთახში და აზეპირებინებთ ამ ლექსს. დათიკოს ტოლ ამხანაგებში გაქცევ-გამოქცევა უნდა, სიხარული, ყიჟინი, კივილი და თქვენ-კი სულს ჰხუთავთ ლექსის გაზეპირებით. ნუ გეწყინებათ-კი, მაგრამ შეგნიშნავთ, რომ ეს თქვენი ნაბიჯი უკუღმართი ნაბიჯია აღზრდაში. ეხლავე მირიან ფესვიანად უნდა მოსპოთ, რომ ხშირად გამეორებულმა მოქმედებამ არ დაუხშოს თქვენს ბავშვს გონებითი ნიჭიერებანი, რაიცა მოსალოდნელია! „საკვირველია, ღმერთმანი, ჭზრმანებს ერთს ადგილას პედაგოგიის მამამთავარი ამოს კომენსკი: ვიდრე ხარატი ხისაგან რომელსამე ნივთს გამოახარატებდეს, ჯერ ცულით გასთლის; ვიდრე მჭედელი რკინას კვერში გამოიყვანდეს, დაარბილებს; ვიდრე მეჩექმე წაღას შეჰკერავდეს, ჯერ ტყავს მოჰქნის, აღზრდა-სწავლებაში კი არავინა ფიქრობს, რომ ამავე მაგალითებით იხელმძღვანელოს!" ამისი არ იყოს: ჯერ დათიკოს ჭკუა ფიქრი შეუმუშავებელია, წარმოდგენა ბავშვური აქვს, განა ღარიბი და იმის მაგივრად, რომ თანდათანობით ვიხელმძღვანელოთ—ახალ-ახალის ცოდნით ჭკუა განუვითაროთ; წარმოდგენა და ფიქრი გაუფართოვოთ, ლექსიკონი სიტყვიერებისა ახალ-ახალის სიტყვებითა და ფრაზებით გავუმდიდროთ, მოვუფრთხილდეთ და მისს ნორჩს ბუნებას ისეთს სულიერს საზრდოს ვაძლევთ, როგორისა ატანასაც ვერც შესძლებს და მავნებლიცაა.... და მერე უოგედ ამ დიდებულ საქმისთვის რადგანაც მასალას იძლევა თვით ბუნება: გაატარეთ თქვენი პატარა არსება მინდვრად, ტყეში, მთებზედ, წყალზედ! რა აუარებელს მასალას გაძლევს ჭკუა-გონებისთვის, წარმოდგენილობისა, სიტყვიერებისა და გრძნობათა ორგანოებისთვის ეს მშვენიერი ყვავილები. ეს ზღვასავით მღელვარე ყანა-ბალახი, ეს ტყის შრიალი, ეს მოძრაობა და ხმაურობანი ფრინველებისა, მწერებისა და სხ. და სხ. თქვენ კი ამის მაგივრად მოსჯდომიხართ და აზეპირებინებთ:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
„ჩემსა წინაპართ საფლავებს შორის,
„ნუ დამიტიროს სატრფომ გულისამ,
„ნუცა დამეცეს ცრემლი მწუხარის და სხ.

რამდენი რამაა დასაფიქრებელი, ასაწონ-დასაწონი ამ საქმეში! უბედურება ეს არის, რომ ეს მოვლენა მეტად ხშირია ჩვენს საზოგადოებაში და თუ ეხლავე არ გებრძოლეთ, აი რას მივაღწევთ:

1) უაზროდ შესწავლილი, შეუსაბამო ბავშვების წლოვანობასა და გონებასთან, ჭკადავს ბავშვში ჩვეულობას ისწავლოს ყველაფერი გაუგებრად, ე. ი. ბავშვი მეხსიერებით შეითვისებს ყველაფერს, მსჯელობისა და გაგების გარეშე.

2) ბავშვი მექანიკურად ეჩვევა ყველაფრის სწავლას; ათქმევინეთ დასწავლილი, გეტყვით, მაგრამ თუ ერთი სიტყვა დაავიწყდა, მაშინ დაიბნევა. ამ ჩვეულებას იჩენს იქაც-კი, სადაც მსჯელობა და დაკვირვებაა საჭირო.

3) წაკითხულისა და შესწავლილის შინაარსს ვერ გარდმოგცემთ, რადგანაც დასწავლის დროს მხედველობითი და მსჯელობითი ორგანოები ჰმოქმედობს და არა გონება.

4) ამისთანა ბავშვი მომავალში შეიქმნება წიგნის მონად: ამისთვის თვით მოქმედება აღარ არსებობს. მარტოისა სჯერა, რაც წიგნშია. უწიგნოდ ვერაფერს გააკეთებს, რადგანაც არც კრიტიკა აქვს და არც სჯის უნარი. კიდევ ბევრს ჩამოვითვლიდით ამ ჩვეულების სიცუდისას, მაგრამ წერილი ისეც გაგრძელდა. დასასრულ არ შემიძლიან დიდებულის რუსოს სიტყვები არ გავიხსენო: „შემოქმედის ხელიდგან ყველა კარგად არის ნამოქმედარი, მაგრამ ადამიანის ხელში ფუჭდება იგი"...

ალ. ნათაძე

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

გაზეთ „Cape Times"-ში, რომელიც ოფიციალური ორგანოა ინგლისის გუბერნატორისა კაპის ახალშენში—ბ-ნ მილნერისა, ანგარიშია დაბეჭდილი, თუ რამდენი კაცი დაჰკლდება ინგლისის მხედრობას ომის დაწყებიდან უკანასკნელ დრომდისინ. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, დაჰკლდება სულ 70,600 კაცი, ე. ი. ბევრად მეტი იმაზედ, რასაც აქამდისინ აცხადებდნენ. ეს რიცხვი აი როგორ შესდგება: ტყვედ წაყვანილი ყოფილა 3000 კაცი, ავადმყოფობით გარდაცვლილა 4000, ბრძოლაში დახოცილა 14,450, დაჭრილა 43,350, რონდველს დრიფტთან და კოდოსრანდთან ბრძოლის დროს დაკარგულა 5,700 კაცი.

— ერთ ფრანგულ გაზეთში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ვილბუა-მორეილისა, რომელიც, როგორც კიცით, საფრანგეთის ჯარის აფიცერი იყო და შემდეგ ბურების ბრძოლაში გულმხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. ის დაუწერია ვილბუას 29 თებერვალს კრონშტადტის მახლობლად. როგორც ამ წერილიდან სჩანს, ვილბუას ძლივს-ძლიობით დაურწმუნებია ბურები, თუ რამდენად უმჯობესია მათთვის პარტიზანული ბრძოლა ინგლისელების წინააღმდეგ.

— როგორც ამერიკიდან აუწყებენ გაზეთებს, ინგლისის მთავრობის აგენტები ისევ დადიან თურმე შეერთებულ შტატებში და ცხენებს ჰყიდულობენ სამხრეთ აფრიკისათვის. ამბობენ, რომ იმათთვის კიდევ 35,000 ცხენია საჭიროვო. ცხენისან ჯარისთვის საჭირო თითო ცხენში 200 დოლარს აძლევენ თურმე.

## დამაკვირდი

გულს შეუძლიან მწუხარება ხმა-ამოუღებლად ატაროს, სიხარულს-კი ხმა-ამოუღებლად ვერ აიტანს.

გეტე.

* * *

მოლოდინი სიხარულისა იგივ სიხარულია.

ლესსინგი.

### გამოსადეგი ცნობა

თუ გნებავთ ძროხის კარაქი დიდხანს შეინახოთ გაუფუჭებლად, ერთი ფრანგული გაზეთი აი რას გვირჩევს: კარაქი კარგად უნდა გაასუფთაოთ, კარგად უნდა შეაშროთ ტილოს დასტამალითა, მაგრა დასტკეპნოთ, რომ ერთი ბეწვის ოდენი შიგა და შიგ ცარიელი არ დარჩეს, ჩასდოთ ქვის ჭურჭელში, დახუროთ და ჩასდგათ წყლით ნახევრამდე მოურილ ქვაბში, ქვაბში წყალი აადუღოთ. ამის შემდეგ ქვაბი გადმოიღეთ და როცა წყალი გაცივდება, ქვის ჭურჭელი ამოიღეთ და შეინახეთ.

ამნაირად მოვლილი კარაქი მალიან დიდხანს თურმე ინახება ისე, თითქო ეხლაა შედღვებილიო. იგი გაზეთი „Gazette agricole" ირწმუნება, რომ ექვსს თვეს შემდეგაც ეგრე მოვლილი და შენახული კარაქი არამც თუ ახლად შედღვებილს არაფერში არ ჩამოუვარდება, არამედ უფრო სასიამოვნო გემო აქვსო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აპრილი.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა: „კარგი დღე გაგვითენდა. მტერს ვერეკებოდი ერთი ადგილიდგან მეორემდის. ბრიტანიის ჯარები იმყოფებიან ამ ჟამად შვიდი ვერსის მანძილზე ზანდის ჩრდილოეთ მხარეს; კავალერია და ცხენოსანი ქვეითა ჯარები—ვენტერსბურგს, ტეკერის დივიზია—დელფონტეინთან. გამილტონის ჯარები ბროდვუდის ცხენოსან ჯართან ერთად გავიდნენ კრეიცვეგენთან. ვენტერსბურგთან გამილტონს თავგამოდებით შეებრძოლა მტერი; გამილტონს მხარს უჭერდა სმიტდორრიენსის ბრიგადა. დიდი ზარალი არ მოგვსვლია.

**მადრიდი.** მაღაზიები, თეატრები, ყავახანები დახურულია. პროვინციებში დუქნები ყველგან დახურულია. ვალენსიაში ბარიკადები დაქცეულ იქმნა. წესიერება აღდგინდა.

**რიტსპრუიტი.** ზანდთან ბურები წინ გადაეღობნენ ბრიტანიის ჯარებს. იმათ სიმაგრეები ეჭირათ მდინარის ჩრდილოეთ მხარეს გამილტონისა და გუტტონის ჯარების შუა. ბრძოლა დაბოლოვდა იმით, რომ ბურებმა უკან დაიხიეს. ინგლისელებმა 20 კაცი წამოიყვანოს ტყვედ. ინგლისელები ისევ წინ მიდიან.

**ტაბანჩუ.** ბურებმა სამხრეთისაკენ დაიწიეს და ტაბანჩუს აღმოსავლეთ მხარეს სიმაგრე უჭირავთ, რომელიც 20 მილის მანძილზეა გადაჭიმული. ბრაბანტის ცხენოსან ჯარს შეტაკება მოუხდა მტრის მზვერავებთან. ბრძოლას მოელიან აქ.

**სევილია.** აქ არეულობაა. ჟანდარმებმა ბრბო განფანტეს. ჯარებმა წესიერება აღადგინეს.

**ბარცელონა.** უწესოება განახლდა. ბრბო მიეგება ჟანდარმებს რევოლვერების სროლით. ჟანდარმებმა პასუხი მისცეს. ბევრი კაცი დაატუსაღეს; წესიერება აღდგენილ იქმნა.

29 აპრილი

**პეტერბურგი.** სკოპცების საქმის გარჩევა 28 აპრილს დასრულდა: რვა ბრალდებულთაგანი გაამართლა, 34 სასამართლომ დამნაშავედ იცნო და ყოველის უფლებისა და ღირსების ჩამორთმევის შემდეგ აღმოსავლეთ ციმბირის დაშორებულს ადგილებში ცხოვრება გარდაუწყვიტა.

**მოსკოვი.** გენერალ გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა თავისს საკუთარ ფულიდგან 10,000 მანეთი უბოძა მოსკოვის ღარიბებს მცხოვრებთა შორის დასარიგებლადაო.

**არხანგელსკი.** დვინაზედ ყინული მთლად ჩამოდნა.

**ეკატერინოსლავი.** თავადი სვიატოპოლკ-მირსკი აქედგან პეტერბურგს წავიდა.

**ნიუ-იორკი.** მანილიაში შეთქმულობა აღმოაჩინეს; ასამდე კაცი შეიპყრეს; 3,000 ფილიპინელი ბუღანს თავს დაესხა და ამერიკის აქ მყოფი რაზმი მთლად ამოწყვიტა.

**რომი.** მეფემ იაპონიის მემკვიდრე ხარების ორდენით დააჯილდოვა.

**ვენა.** იმპერატორი ბუდა-პეშტში წაბრძანდა.

**სოფია.** ტყუილი გამოდგა ის ხმა, ვითომ რამდენიმე ბოლგარელი ოჯახი სერბიაში გაიქცა. ტყუილია აგრეთვე ის ხმა, ვითომ ბოლგარიაში აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. ბოლგარიაში სრული მშვიდობიანობაა.

**მადრიდი.** ვალენციასა, სევილიასა და ბარცელონაში არეულობა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. ვალენციასა და ბარცელონაში სამხედრო წესი იქმნა გამოცხადებული.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა: „მდინარეზედ გადასვლა ძნელია. სამხედრო სურსათის მეტი ნაწილი უკან დაგვრჩა. კრონშტადტისაკენ მივდივართ".

**მასსერუ.** ორანჟის ბურები დიდ ჯარებს აყენებენ კორანის მთებზედ, ტაბანჩუ-ვინბურგის აღმოსავლეთითა და რენდლის ბანაკის მხარეზედ მდინარე ლევუვთან; ტაბანჩუსა და ლედი-ბრანდს შუაც ჯარებია ჩაყენებული.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, რომ რადგანაც ვეიხაი-ვეის მიდამოების განმსაზღვრელს ბრიტანიის კომისიას ჩინელი გლეხები დაესხნენ თავს, ჩინელებმა სურვილი განაცხადეს, რომ ჯერ ხნობით მუშაობა შეწყვეტილ იქმნას. ბრიტანიის კომისიის ხელმძღვანელს მიწერილობა გაეგზავნა, რომ მუშაობა მაინც განაგრძოს, თუნდაც ჩინელმა კომისსარებმა მონაწილეობა არ მიიღონ. ბრიტანიის კომისარს ჯარი მიაშველეთ. ახლა იუწყება, რომ მშვიდობიანობას საიმისოდ არა არღვევს-რაო.

**კონსტანტინეპოლი.** ჩერნოგორიამ სთხოვა პორტას იპეკაში საელჩო დაეარსებინა, მაგრამ პორტამ ამაზედ უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ მოუსვენარი ხასიათი აქვთო და სამაგიეროდ თანხმობა განუცხადა, თუ რომ ასეთს საიოჩოს პრიზრენში არსებენ. ახლა მხოლოდ ელჩის თანამდებობაზედ კაცს ეძებენ. დანარჩენი მითქმა-მოთქმა ამ საქმის შესახებ სულ ტყუილია.

**პრეტორია.** მთავრობამ გამოაცხადა, რომ იმ მაღნების შემუშავების უფლება, რომელიც რანდის ოლქშია, საჯარო ვაჭრობით იქმნება გაცემულიო.

პეტერბურგის ბირჟა, 28 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% [illegible] მომგებიანი გ[illegible]ბის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — " | — " | 211½ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 91 | — " | — " |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — " | 102 | — " |
| 5% იმავე ბანკისა. | — " | 99 | — " |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — " | 98 | — " |
| 4½% იმავე ბანკისა | — " | — " | 88¾ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — " | 98 | — " |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — " | 90 | — " |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — " | — " | 304½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — " | — " | 262¾ |


## განცხადებანი

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) უკვდავთა ლოლოებანი

ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა მე-X საუკუნემდე**, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузiи**, ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**. ფ. 40 კ.

(20—უ.—8)

ამა წლის 20 აპრილს, სოლოლაკისა და რტიშჩევის ქუჩების კუთხეში, თავ. ბებუთოვის სახლში გაიხსნა

## ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზი.

საჯარო ვაჭრობის დარბაზი ახდენს ვაჭრობას ყოველგვარ მოძრავ ქონებისას მთავრობის დაწესებულებათა, თანამდებობის კაცთა, საკრედიტო დაწესებულებათა, გამსესხებელ კასსებისა და კერძო კაცთა სურვილისამებრ. საჯარო ვაჭრობა მოხდება დარბაზის სადგომში, მაგრამ შეიძლება იგი მოხდეს ქონების პატრონთა სადგომებსა, დუქნებსა და მაღაზიებშიაც.

დაწვრილებითი პირობანი საჯარო ვაჭრობისათვის ქონების წარდგენისა, შენახვისა და თვით საჯარო ვაჭრობისა აღნიშნულია განსაკუთრებულ „დებულებაში" „ტფილისის ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზის შესახებ". ამ დებულების მიღება დარბაზის სადგომში შეიძლება. (5—6.—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Апрѣля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე